№ 231. 4 ნოემბერი, ოთხშაბათი. 1866—1881 4 ნოემბერი, ოთხშაბათი. № 231.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] მოგრძოლით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვ. ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## ბბ. მუშტართ ჩვენი ფირმის ჩაისა

უმორჩილესად ვსთხოვთ იაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე ასოთ ქ ♃ ს

ძმანი ქ. ♃ ს. პაპოვები

(20—19) სავაჭრო სახლი მოსკოვში.

თბილისის თეატრი

დღეს, 4 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველი აბონემენტის რიცხვში

I

## შეშლილია!

დრამა 2 მოქმედ., ფრანცუზულიდამ.

II

ცოცხალი სურათები

1) წყაროსთან (მეორეჯელ)

2) ცელქი ყმაწვილი.

3) ფული თუ სიყვარული?

III

პარიჟელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., ნათ. დ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7 \frac{1}{2}$ საათზე.

## ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთ-მოსრის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 2 ნოემბერს. გაზეთ „ახალ დროებაში“ სწერია: კამისიამ, დანიშნულმა ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულთ საქმეების შესახებ, შესამლოდ დაინახა გაანთავისუფლოს რამდენიმე მათგანი და საზოგადოდ იზრუნოს მათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ. სახელმწიფო კანტროლმა აღიარა სახელმწიფო ვალად გორვიცის და ამხ. 11,300,000 მან. ოქრო და ვერცხლით; კამიტეტი მინისტრთა გაარჩევს ამ საქმეს 30 ნოემბერს.

გაზ. „ახალი მოამბე“ იწერება, ვითომც მე-3 რიგის ლგოტაც მოისპობაო, გადა 1-ლი რიგის სამსახურისა იქნება წელ-ნახევარი, მეორესი —სამი წელი. ეს ახლად შემოღებული წესები გარდასახედავათ წარედგინება განათლების მინისტრს.

## უთაურთა მეთაურობის შედეგი.

თფილისი, 3 ნოემბერს.

ყოველი კარგი კანონი, კარგი დაწესებულება, ყოველი კეთილი საზოგადო საქმე მხოლოდ თავიანის და პატიოსან აღმასრულებელთა ხელში მოიტანს ჯეროვანს ნაყოფსა და სარგებლობას; ხშირად რომელსამე გონიერ კანონს, საერო სასარგებლო საქმესა და დაწესებულებას უხეირო და ბოროტ კაცების ხელში და იმათის წყალობით, ენების მეტი, არა მოაქვს-რა.

ეს საზოგადო კანონი მოგვაგონა ჩვენ ქავთისხევის სასოფლო მაღაზიის, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან ამ გვარ მაღაზიას,—დეპოს დაკეტამ.

ჩინებული დაწესებულებაა ეს დეპოები ყველა იმ ხალხისათვის, რომელიც ჩვენსავით შევიწროებულია ვაჭრებისაგან, ანუ იმ შუა პირებისაგან, რომელნიც იაფად ჰყიდულობენ და ძვირად ჰყიდიან ყოველ საქონელს. თვითონ ხალხი, თვითონ ის პირები, რომელთაც ეჭირებათ საქონელი, არდგენს ამხანაგობას, აგროვებს ფულს და ამ საზოგადო ფულით ჰყიდულობს საქონელს და ხსნის სასოფლო მაღაზიას ანუ დეპოს, რომელშიაც ყველაფერი უნდა მოიპოვებოდეს გასასყიდლად, რაც კი ამხანაგობის წევრთა ეჭირებათ. წლის დამლევს ან ყოველ ნახევარ წლის შემდეგ მაღაზია აცხადებს თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს და რაც შემოსავალი აქვს ვაჭრობისაგან, ან ერთმანეთში იყოფენ წევრნი, ან რომელსამე საზოგადო საქმეს ახმარებენ, მაგ. სოფლის სკოლას, ბანკის თანხად სდებენ, ქვრივ-ოხერს, უძლურთ აძლევენ შემწეობასა და სხვ. და სხვ.

სარგებლობა ამ გვარ საზოგადო მაღაზიებისა სამ გვარია: ა) მაღაზია არ გამოუდგება მომეტებულ სარგებელს, რადგან ის ამხანაგობის ფულით არის დაარსებული და რაც სარგებლობა ექნება, ისევ ამ ამხანაგობას ერგება; ბ) მაღაზიას ყოველთვის უკეთესი საქონელი იქნება, ვიდრემ კერძო პირების, ვაჭრების მაღაზიაში, რომელთაც მხოლოდ ერთი ანგარიში აქვთ (განსაკუთრებით ჩვენებურ ვაჭრებისთანა ვაჭრებს), რომ რაც შეიძლება იაფად იყიდოს საქონელი (მაშასადამე—ცუდი) და რაც შეიძლება ძვირად გაჰყიდოს და გ) ამ მაღაზიის საშუალებით საზოგადოება, ანუ ამხანაგობა იშორებს თავიდამ ვაჭრებს და იძენს საშუალებას, რომელიმე კეთილ საქმის დასაარსებელად.

ეს კეთილი მხარეები საზოგადო მაღაზიებისა ყველგან გაიგო ჩვენმა სოფლის საზოგადოებამ, სადაც ამხსნელი და ჩამგონებელი აღმოუჩნდა; და რამდენსამე ალაგას კიდეც გამართეს ამისთანა დეპოები.

საუბედუროდ, ზოგან ამ დეპოების საქმე ჩვენში, როგორც სჩანს, ისე კარგად ვერ მიდის, როგორც მოსალოდნელი და სანატრელი იყო. ჯერ რუისის ამხანაგობაზედ ისმოდა რაღაც ცუდი ხმები; მაგრამ ეს ამხანაგობა, ავად არის თუ კარგად, ჯერ მაინც მოქმედობს.

მაგრამ ქავთისხევის საამხანაგო მაღაზიამ კი სრულიად გვიღალატა. ჯერ ძალიან კარგი ხმები ისმოდა ამ ამხანაგობაზედაც; ვაჭრობა კარგად მიდისო, წევრები საკმაოდ ჰყავსო, სოფელი კმაყოფილიაო და სხვ.; მაგ-

---

«დროების» ფელტონი, 4 ნოემბერი

## ელგუჯა *)

(მოთხრობა)

იყო დილის ათი საათი, როდესაც მცხეთში რაღაცა განსაკუთრებითი მოძრაობა იყო. მრავალი მოხევების ურმები, დატვირთული სალდათების ბარგით ჩამოდიოდნენ მცხეთის დალმართში, თუმცა თითონ ურმის პატრონები არსადა ჩნდნენ და იმათ მაგივრივ სალდათები და ყაზახები მოერეკებოდნენ ხარებს.

მხოლოდ ერთს ურემზედა სჩანდა რამდენიმე მოხევე, გულ-აღმა დაკრულები და ცემით თავ-პირ დამტვრეულები. იმათ მოსდევდნენ რამდენიმე თოფიანი სალდათი და ერთი აფიცერი.

ესენი ჩამოვიდნენ მცხეთში, ამოვიდნენ მინდორზედ და იკითხეს ნაჩალნიკი, რომელიც მაშინვე გამოვიდა იმათთან.

აფიცერმა შეატყობინა, რომ ყველაფერი და ყველანი მშვიდობიანად მოიტანა, მოიყვანა და ცოტა ხანს შემდეგ, სიფთხილით გაუმხილა, რომ ცოტაოდენი მოხევეებმა გააჯავრეს და იმან მკაცრი განკარგულებით ჩქარა დააშვიდა ისინი. რამდენიმე იმათგანი, როგორც დამნაშავენი, შეკრულები მოიყვანა აქ, ნაჩალნიკთან, რათა გადაეხდევინებინა იმას.

კაცები, რომელნიც ძლივსღა იძროდნენ, ცემისაგან, ახსნეს და მოიყვანეს იქ. სვიმონმა შეხედა იმათ თუ არა, გულმა ვეღარ გაუძლო და შეტევით უთხრა აფიცერს:

— ზანა შეიძლება ეგეთი მკაცრი მოგცევა? თქვენ სულ აჯანყებთ ხალხს მაგ გვარის ქცევით.

— მეტი ღონე არ გახლდათ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! ასე რომ არ მოვქცეულვიყავ ბარგი გადმოსატანი დამრჩებოდა.

— მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! მე გამოვიძიებ ყველას. შევიტყობ და თქვენს უმართებულო ქცევას უეჭველად ქალაქში ვაცნობებ. თქვენ ხალხის მომხრობის მაგივრივ, თითქოს განგებ ყოველის ღონისძიებით ცდილობთ, დაშორებას და რუსებსა და იმათ შუა სიმძულვარის ჩამოგდებას. აბა, შეხედეთ, ეს რა არის, უჩვენა იმან მოხევების მკლავებზედ და ფეხებზედ, რომელთათვისაც საბელი ისე ულმერთოდ წაეჭირათ, რომ ურმის რყევის გამო თითქმის ძვლამდინ გადაეხეხა ხორცი, რომელიც ნაკუთ-ნაკუთად ჩამოჰკიდებოდა და უწყალოდ დაემახინჯებინა დაკრულები.

— რაი ღმერთი გაგიწყრათ, რაი მოგივიდათ? მიუბრუნდა სვიმონ ცოცხალ-მკვდარს მოხევეებს.

— რაი ვიცით, კვნესით და ოხვრით უპასუხეს იმათ. საქონელი გამოუშვით ჯვართ ვაკეს, ვაძოებთ, მოვიდნენ ეგენი და დაგვიწყეს ცემა... რაღაცას გვეუბნებოდნენ, მაგრამ ვერა გავიგეთ-რა.... სული ტკბილია, „შენაი ჭირაიმე“, ვინც გაქცევა მოასწრო ძაღლსავით სიკვდილს ის ირჩია და ვინც დაგვიჭირეს აი ასე გაგვხადეს.

— მაგათ ხარები გამოუშვეს და გაქცევას აპირებდნენ. უპასუხა სვიმონს აფიცერმა თავის გასამართლებლად.—ეგენი ბრიყვი ხალხია, გაუზდელნი, განა მაგათ დაეჯერებათ რამე?

— კარგი, კარგი, მაგას მერე გავარჩევთ! წარბებ შეჭმუხვნით გააწყვეტინა სვიმონმა და უბძანა იქ მყოფს იასაულებს, რომ მოხევები დაეწვინათ სადმე და ექიმი დაეყენებინათ.

ამ დროს გამოჩნდა ჯარები, რომლებიც წყნარად ჩამოდიოდა არაგვის პირზედ, სადაც წინაკაცები საჭმელებს უთუთქავდნენ და იქა ბანაკდებოდნენ.

ჯარის უფროსი ჩამოხტა სვიმონთან, რომელიც რიგზედ, როგორც მთის კაცს შეშვენოდა, გაუმასპინძლდა.

— მე უნდა მოგელაპარაკოთ, უთხრა სვიმონმა ჯარის უფროსს, რაწამს სადილი გაათავეს.

— მითხარით, უპასუხა იმან და ამაყად გადაწვა საგარძელზედ.

ჯარის უფროსი, როგორც ყველა იმ დროს რუსის მმართველები, პირველად იყო გადმოსული საქართველოში, და რასაკვირველია ის, არც ხალხს იცნობდა და არც იმათ ზნეობას და ჩვეულებას. იმას ჩაგონებუ-

*) იხ. „დროება“ № 230.

რამ უეცრად მოგვდის ამბავი, რომ საამხანაგო დუქნის დახლიდრებმა ფულები დაიტაცესო, ნისიებს არ იძლევიანო, წევრები შემოაკლდაო და ბოლოს დუქანიც გაკოტრდა და ლიკვიდაცია მოახდინესო.

თუმცა დუქნის გამგებელთ რაღაც მიზეზები მოჰყავთ გაკოტრებისა, მაგრამ ამ საქმის დაღუპვის ბრალი, უეჭველია, მხოლოდ გამგებელთ ედება: ამათი საქმე და მოვალეობა იყო, ხეირიანი, კეთილ-სინიდისიანი კაცები ამოერჩიათ დახლიდრებად; ამათი მოვალეობა იყო მუდამ თვალ-ყური სჭეროდათ მაღაზიაზე, სცოდნოდათ იმის შემოსავალ-გასავალი, წაგებ-მოგება და ყოველი ანგარიში; ამათი ვალი იყო, თუ ხედავდნენ, რომ ნისიებს ზარალი მოაქვს მაღაზიისთვის, მოესპოთ ეს ნისიები და სხვ. და სხვ.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ქავთისხევის მაღაზიის გამგებელნი ერთობ ქართველები ყოფილან, ერთობ თავ-მინებებულნი, ერთობ გულ-გრილად საქმის წამყვანნი, — მხოლოდ მაშინ გამოუღვიძნიათ, როდესაც საქმის შველა აღარ შეიძლებოდა, როდესაც მაღაზიას კოტრობამდინ მიუწევია.

რასაკვირველია, ეს წვრიმალი საქმეა: ერთს სოფელს გინდ ჰქონია თავის საკუთარი მაღაზია და გინდ არა, ამით ჩვენს მხარეს ბევრი არა დააკლდება და არც შეემინება-რა; მაგრამ ამ წვრილ საქმესაც თავის საზოგადო მნიშვნელობა აქვს და იმიტომ ვლაპარაკობთ ამაზედ: ამ გვარ უთაურ მეთაურთა წყალობით, როგორც ქავთისხევში ყოფილან, სხვებსაც უცრუვდებათ გული, სხვებიც ველარ ჰკიდებენ ხელს ისეთს საზოგადო საქმეს, რომელსაც უეჭველი სარგებლობა მოაქვს ერისათვის. ამიტომაც სანატრელია, რომ ამ გვარი ხალხი არაფითარ საზოგადო საქმეს არ ჰკიდებდეს ხელს; არ თაობდეს იქ, სადაც იმას არც გამოცდილება აქვს და არც იმდენი ენერგია, რომ რისამე კეთილად წაყვანა შეეძლოს...

## ახალი ამბები.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად გამოცხადებული, რომ ბ. პროფესორი ჩუბინაშვილი თვის მდიდარს ბიბლიოთეკას „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" სწირავსო. ამბობდნენ, რომ ამ შეწირვის მაგიერ ბ. ჩუბინაშვილი ერთის პირობის აღსრულებას თხოულობს „წერა-კითხვის საზოგადოებისგანაო", — რომ საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცეს იმისაგან შედგენილი ქართული ლექსიკონი.

ახლა, როგორც შევიტყეთ, ბ. ჩუბინაშვილი დაბრუნებულა პეტერბურღში. ქართველ საზოგადოებისათვის საინტერესოა იცოდეს; გარიგდა, მოხერხდა ეს საქმე, შეიძინა საზოგადოებამ მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა ბ. ჩუბინაშვილისა, თუ ვერა?

***

სოფ. ხიდის-თავიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის 1-ს იქაურს საზოგადოების საერთო ყრილობას განჩინება დაუდგენია პირველ-დაწყებით სკოლის გახსნაზედ თავის სოფელში. ამ კეთილ საქმეში ბორის პრისტავმა ბ. ზვარამაძემ დიდი მონაწილეობა მიიღოო.

ამასთანავე საზოგადოებამ გარდასწყვიტაო, რომ მასწავლებლის ჯამაგირსა და სასწავლო წიგნებისა და სხვა ნივთებისათვის წელიწადში სამოცი თუმანი გამოიღოს.

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ ქამად იქ არის თვალთ-მაქცი ქაზნოვი, რომლის წარმოდგენებზე მუდამ სავსეა ხალხით.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! თქვენს გაზეთში მე-222 №-ში, არის დაწერილი „სალომინაველის" კორრესპონდენტისაგან სტატია, რომელშიაც ბრალეულს ჰყოფს ქუთაისის მაზრის უფროსს თ. ჩიჯავაძეს და მის უფროსს თანაშემწეს ბ-ნ ალშიბაიას სკოლების გაუხსნელობაში სხვათა შორის სოფ. საჩინოში. არა სადაოდ უგებ პასუხს ბ-ნ კორრესპონდენტს სალომინაველს, არამედ სიმართლის აღსადგენად აუხსნი რამოდენიმე სიტყვით გარემოებას ამ საგანზედ და ვითხოვ ამ ჩემ პასუხსაც ექნეს ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ბ-ნი კორრესპონდენტი ამბობს:

„რიონს გამოღმა საუკეთესო სოფლებად ითვლებიან სოფლები: საჩინო, ამაღლება, ბორა, სალომინაო, სადემეტრაო, და სხვ. და თითოეულს ამ სოფლებს სრულებითაც არ გაუჭირდება თითო სკოლის შენახვა."

რომელ სოფელს ჰქვია საჩინო სახელდობ მე არ ვიცი და არც არის ქუთაისის მაზრაში; სოფლები სადემეტრაო და მარციხე ეკუთვნიან ბაღდათის საზოგადოებას, რომელშიაც დიდის ხნიდგან კიდევაც არის სკოლა; ხოლო სოფლები: ამაღლება, ბორა და სალომინაო ირიცხებიან ბორას საზოგადოებაში, რომელშიაც, მართლა რომ ყოფილა დიდი ხანია მას აქვთ სკოლა და კიდევაც დაუქმებულა. ეს გარემოება რომ შეიტყო ქუთაისის მაზრის უფროსმა თ. ჩიჯავაძემ, დანიშვნისათანავე მისისა ქუთაისის მაზრაში, მოჰიდა იმ საზოგადოებაში, როგორც მე თვით ვუწყი, და შეაგროვა მრთელი საზოგადოება, რომელსაც ამ სკოლის აღდგინებაზედ ელაპარაკა თითქმის დილიდან საღამომდის და მრავლის შეგონებით და რჩევით სთხოვა, რომ განაახლონ სკოლა და იზრუნონ სწავლისათვის თავის შვილებისა; მაგრამ საზოგადოებამ უარი ჰყო იმ მიზეზისათვის, რომ ისინი ვითომც გამოცდილნი არიან თუ რა ნაირად, უვარგისობისა გამო მასწავლებელისა, ცუდად მიდიოდა სწავლა მათის შვილებისა.

ამ მიზეზის გამო, დარჩა იქ სკოლა გაუხსნელი. მაშასადამე მეცადინეობა მაზრის უფროსს არ დაუკლია იმ სოფლებისათვის, რომელნიც მოხსენებულია ბ-ნი კორრესპონდენტისაგან.

შეიძლება სთქვას ბ-ნ სალომინაველმა, რომ კარგად ვერ შეაგონე იმ საზოგადოებას, თორემ თანახმა იქნებოდაო. ამაზედ მოვახსენებთ, რომ თუ სხვა საზოგადოებათა, მაგალითებრ: სვირის, ბვაშტიბის, მაღლაკის, ქუხის, წყალტუბოს, მეიტირის, აბაშის, მუხაყრუის, ღანირის, სანირის, ქურსების, მანდიკორის და ფარცხანაყანევისამ შეიგონეს მაზრის უფროსის და მისი უფროსი თანაშემწის ალშიბაიას სიტყვები, რატომ მათაც არ ეტყოდნენ იმ სიტყვებს, რომელნიც გამოითქვა ზემორე-ხსენებულთ საზოგადოებაებში? ეს საზოგადოებანი მზად არიან გახსნისათვის სკოლებისა, რაზედაც კიდევაც დადგინდ განჩინება; სვირში კიდევაც გაიხსნა სკოლა, როგორც ყველამ უწყიან.

ამათ გარდა ქუთაისის მაზრაში არსებობენ სკოლები შემდეგ საზოგადოებაებში: ღიმში, ბაღდათში, ვანაში, სიმონეთში, ქულაშში, ჯი-

---

ლი ჰქონდა ხალხის გარეგნული შეხედულება, რომელზედაც მარტო ძალით და მკაცრობით შეიძლება მოქმედება და ამისათვის პირველსავე ქართლში ფეხის შემოდგმაზედ ამ აზრის ხელმძღვანელობით დაიწყო მოქმედება.

— ხალხი აჯანყებულია, თქვენი მგზავრობის გაგრძელება არ შეიძლება.

— მაგასა ვნახავთ, ღიმილით წამოიძახა იმან.

— შეიცადეთ რაოდენიმე ხანი აქ და გაძლევთ სიტყვას, რომ მშვიდობიანათ გაივლიდ.

— ეხლაც წინ ვერავინ გადაგვიდგება. მკაცრათ უპასუხა იმან.

— თქვენ არ იცნობთ მთის ხალხს და იმიტომ ლაპარაკობთ ეგრე. ისინი ვაჟკაცნი და გულადნი არიან.

— რუსის იარაღს წინ ვერვინ გადუდგება.

— მე-კი ვიცი, თუ წახვედით საქმე გაგიჭირდებათ.

— მაგას თქვენც გაიგებთ.

— მე შეგატყობინეთ ყველაფერი და ახლა ხელები დამიბანია.

— ნუ სწუხართ, ნუ!.. მე ჩემის ჯარით მთელს საქართველოს მოვივლი და წინ გადადგომასაც ვერვინ გამიბედავს.

სვიმონს ეშინოდა ხალხის ამ ჯართან შეხვედრა, შეტაკება, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ ბრძოლიდგან არაფითარი სარგებელი არ გამოვიდოდა ხალხისათვის და მხოლოდ უბრალოდ დაიღვრებოდა სისხლი, ჯარის მოთავე-კი, რომ იმის ხმალს წინ ვერავინ აღუდგებოდა ნამეტნავად „გაუთლელი ბრიყვი მთიულები, რომელთაც იარაღად ჯოხების მეტი არა გააჩნიათ-რა."

— მაშ არ იჯერებთ ჩემ რჩევას? ჰკითხა სვიმონმა.

— აჰ! ბავათაოთ მაგაზედ ლაპარაკი. — არა ღირს. სვიმონ გამობრუნდა გულ-ნაკლულად და თავისთვის წაიბუტბუტა:

— მიბრძანდით და ნახავთ თქვენ დღესა.

იმან ძლივს მოასწრო, გასვლა, შემოვიდა ის აფიცერი, რომელიც ბარგთან მოსულიყო. ის შემოსვლის უმალვე გამოიჭიმა კარებთან და ელოდა თავის უფროსთან საუბრის დაწყებას. უფროსმა, რომელიცა სთვლემდა, გაახილა თვალები, შეხედა ახალ შემოსულს და ისევ განსვენებას მიეცა. როდესაც მოიგუნება და საკმაისოდ აცდევინა, იმან გაახილა ისევ თვალები, შეხედა აფიცერს, რომელიც ისევ ისე გამოჭიმული იმავე ადგილზე იდგა.

— როგორ იმგზავრე?

— კარგად, თქვენო აღმატებულებავ!

— გზაში უსიამოვნება ხომ არა გქონდა-რა?

— მეურმეები ცოტა დამიჯიუტდნენ, მაგრამ მე მალე მოვაჭკუიანე.

— მაგათთან რაც შეიძლება მკაცრად, ბ. აფიცერო მკაცრად! დაყვავებით არა გამოვა-რა.

— მე ისინი ურმებზედ დავაკვრევინე და ისე ჩამოვიყვანე აქა, სიამოვნებით ღიმილით მოახსენა წაქეზებულმა აფიცერმა.

— ქი არ აცემინე? ჰკითხა ღენერალმა ისეთის ხმით თითქოს წყალი მოსწყურებოდა და იმას ითხოვდა.

— ცოტაოდენი.

— ცოტაოდენი-კი არა, კარგად უნდა გეცემინათ, რომ სამუდამოდ დახსომებოდათ.

— აქ ნაჩალნიკმა, იმისათვისაც საყვედური მომცა. ფრთხილად გაუტარა სიტყვა გამოქნილმა აფიცერმა.

— რაო? წარბებ შეჭმუხვნით ჰკითხა იმან, თუმცა ძალიან კარგად გაიგონა, რაც აფიცერმა მოახსენა.

— მე იმას მოგახსენებდით, თქვენო აღმატებულებავ, რომ ნაჩალნიკმა საყვედური მომცა მეთქი მაგისათვის

— როგორ? ჩემს აფიცერს?.. ვერ უყურებთ მაგას. რა უყავით დაჭერილები? უფრო მკაცრად იკითხა იმან.

— ნაჩალნიკს გადავეც, თქვენო აღმატებულებავ!

— დამიძახეთ ნაჩალნიკს!.. ერთი კარგად გავაწკეპლინო ის დაჭერილები... წადით დამიძახეთ.

— ნაჩალნიკსაც უბრძანეთ რამე, თორემ მე მგონია თქვენო აღმატებულებავ, რომ ეგენი მეტათ თავს ბავლენ...

— რასაკვირველია, რასაკვირველია... წადით აქ გამომიგზავნეთ ნაჩალნიკი.

აფიცერი გაბრუნდა და მათი აღმატებულება-კი, რომელმაც რამდენჯერმე წამოიძახა: „ვერ უყურებთ იმას? ჩემს აფიცერს, აფი...ფიცეე......"

ხაისში, ტობანიერში, მწერში და ხონში; ქუთაისის მაზრაში, რომელიც შესდგება ოც-და-ჩვიდმეტი საზოგადოებისაგან, სკოლა მხოლოდ არ არის თოთხმეტ საზოგადოებაში, რომელთ რიცხვში შედიან ბ. კორრესპონდენტის ნაჩვენები სოფლებიც.

აქედგან მკითხველნი დაინახვენ, თუ როგორ ზრუნვენ და მეცადინეობენ ქუთაისის მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე ხალხის სწავლა-განათლებისათვის. სალომინაველს საფუძვლიანი და რიგიანი სკოლის გახსნა, რომ მაში იყოს ნამდვილი სწავლა, დიდ-ხანს განიგრძოს მისი არსებობა, თოლხო კვერცხის ჩაყლაპვა ჰგონებია. არა, ბატონო, ქუთაისის უეზდის ადმინისტრაციის მეცადინეობა მარტო ის კი არ არის, რომ ბევრი სკოლები გაიხსნას და ისევ მალე დაიხურეს, მათი მეცადინეობა არის სკოლა დაარსდეს საფუძვლიანი და იყოს მასში ნამდვილი სწასლა და განათლება ხალხისა. ჯერ ამათთვისაც, რომლებიც ეხლა იხსნებიან, ვერ მოუპოვნიათ რიგიანი მასწავლებლები, რომლებზედაც არის დამოკიდებული სკოლის საქმის კარგად წაყვანა.

თუ ბ. კორრესპონდენტი სალომინაველი მიიღებს თავის თავზედ, რომ ბორის საზოგადოებას შთააგონებს სკოლის გახსნას, მაშინ, უეჭველია, მაზრის უფროსნიც მადლობელი დარჩებიან; მაგრამ იმედი კი არ გვაქვს, ვინაიდგან ბ. კორრესპონდენტი ფიქრობს თითოულ სოფელში სკოლის გახსნას და არათუ ერთ სოფელს შეეძლოს სკოლის დაარსება, არამედ მთელ საზოგადოებასაც, რომელშიაც ირიცხებიან რამოდენიმე სოფლები, საძნელოდ უჩანს სკოლის დაარსება და მისი შენახვა.

კორის წყლის-პირელი.

29 ოქტომბერს.

---

### კავთისხევის დუქნის დაკეტაზედ.

(წერილი იოსებ ცხვეთაძესთან)

ერთობ გვიან დაიბეჭდა ლიკვიდაციური ანგარიში ზემოხსენებულ მაღაზიის დაკეტისა და ისიც ჩემ პასუხად. დრო ჰქონდათ ამ მაღაზიის გამგებლებს: ბ.მ. ცხვეთაძე თხუთმეტი დღით ადრე, სანამ სხვა წევრებს შეატყობინებდა ჩაიკეტა საამხანაგო დამზოგველ დუქანში და არდგენდა ანგარიშს მარტოდ მარტო.

მაგრამ განვიხილოთ ახლა ეს ანგარიშიც:

რა საბუთით არ იყო 705 მ. 28 კ. მუშაობაში და იფანტება? 218 მ. რა არის; წევრებმა გაიტანეს თავიანთი ხვედრი წილი ფული, თუ ნისიაა? ამ 218 მანეთში ხომ არ არის შერიცხული ის ნისიები, რდმელიც აქვთ წაღებული უცხო პირებს და არ არიან წევრები; რად არის ზოგიერთ უცხო პირებზე დარჩენილი ნისია ორ-ოლი თუმანი და მეტიც? რომელ წესდების ძალით გაეცით ნისიები უცხო პირებს? ანუ თვით წევრებს რისთვის აძლევდით იმაზედ მეტს, რაც წესდებაშია მოხსენებული?

ბ. კანდელაკი ექვსი თვეა, რაც გადაყენებულია დახლიდრობიდგამ ამდენი ხნის განმავლობაში შეგეძლოთ გამორთმევა 106 მანეთისა. იხმარეთ კი საშუალობა ამ მოხსენებულის ფულის ამოგებისა?

როგორცა სჩანს, დუქანში ყველანი მფლობელობდნენ: დუქნის შემოსავალი თავისუფლად ერთმა შეჭამა 106 მანეთი, მეორემ 186 მ. 46 კ., მესამემ—ყასაბმა 145 მ.! ამ უკანასკნელს, მას შემდეგ როდესაც დაედო 130 მანეთი, რაღაც მიზეზით კიდევ ეძლევა თუთხმეტი მანეთი. იქნება თქვენ არ გიკვირთ, მაგრამ მე კიმიკვირს, რომ ის პირნი, რომელნიც იყვნენ დაახლოვებულნი დუქანზე და იცოდნენ კარგად იმის შემოსავალ-გასავალი, ფლობელობდნენ თავისუფლად შემოსავალს და ეს პირნი სუყველანი იყვნენ თქვენგან დაახლოვებულინ. როდესაც ერთმა წევრთაგანმა ბ. საყვარელიძემ წარმოადგინა დახლიდარი და თითონ თავობდა იმის თავდებობას, როდესაც თითქმის წევრები დათანხმდნენ, პირველი თქვენ, ბ. ი. ცვედაძე, გახდით წინაალმდეგი და შეჰქენით ყაყანი; „—არა, ეს ჩემი საქმეა და არა თქვენი!“. კარგად იცოდით მაშინ. რომ ბ. საყვარელიძეს შეეძლო პასუხის-გება დახლიდრის დანაშაულობაზედ. მაგრამ თქვენ მოიქეცით სწორედ როგორც თავმჯდომარე და ნიშნავდით, თქვენივე აზრით, ვინც კი მოგივიდოდათ თავში, რითაც აძლევდით საშუალობას იმათ ჯიბებს.

თქვენს ანგარიშში წმინდა საქონელს 320 მანეთად აფასებთ; 100 მანეთისაც კიდევ იყო ნასყიდი ქ. ტფილისში; თუმცა თქვენვე ამბობთ, ამ ნაყიდი საქონლისთვის არა ჰქონდათ ფული, მაგრამ ეს უნდა იყვეს შეცდომა, რადგან თქვენივე სიტყვით კასაში იყო ათი თუმანი ესე, რომ დუქანში, თქვენი ანგარიშით, საქონელი იყო 420 მანეთისა(?). ვინ არ იცის, რომ ამ ფულით სოფელში დუქანი კარგად იმუშავებს და ნამეტნავად მაშინ რომ, როდესაც ერთი დუქანია იმოდენა სოფელში. მე ვიცი დუქანი ს. ახალქალაქს, რომელმაც იწყო მუშაობა ათი თუმნით და 45 დღის განმავლობაში ერთი ორად აქცია იქ, სადაც დუქნები ყოველ ნაბიჯზეა; მაგრამ ის საწყალი კავთისხევის დუქანი ისე მოხვდა ხელს, როგორც ქათამი ქორს ფრჩხილებში.

კავთისხევის გლეხ-კაცობა რაღაც სხვა მნიშვნელობას აძლევს შემდეგ გარემოებას: გაიხსნა დუქანიო და იწყო ბ. ცხვედაძემ სახლის შენობაო; შებძანდა სახლშიო, დაიკეტა დუქანიო. ეს, რასაკვირველია, უბრალო შემთხვევაა, ამას მნიშვნელობა არა მიეცემა, ვინ არ იცის რა უსაბუთოდ ლაპარაკობს გლეხ-კაცი.... მაგრამ ხალხი კი მაინც ლაპარაკობს...

ასე, ბ. ცხვედაძე: დუქანს შეეძლო მუშაობა იმ ფულითაც (420 მ.), რაც მოხსენებულია თქვენ ანგარიშში, თუ მასში არ მომხდარიყო შეცდომა. მოიგონეთ, როგორ შეადგინეთ თქვენ 320 მან. საქონელი: გოგირდი ნაყიდი 7 კ. დანიშნეთ 20 კ., საპონი 10 კაპეიკისა—25 კ., საფანტი 10 კ.—25 კ. და-სხ.-და-სხ. ამ ანგარიშში შერიცხულია აგრეთვე ის ბოჩკები, ყუთები და ბოთლები, რომელშიაც ფასი არ ეძლევა საქონლის ყიდვის დროს; ბოჩკები თქვენ დააფასეთ ორ და სამ მანეთად. ამიტომ მე მგონია, რომ არ იქნება ურიგო—თუ მე 320 მანეთიდამ გამოვალ 290 მ., დარჩება 30 მ. კასაში, როგორც თქვენ აჩვენეთ, ლიკვიდაციას დროს იყო ორი თუმანი და არა ათი თუმანი,—საიდგან გამოჩნდა ეს რვა თუმანი?

როდესაც აგრე უპიროულად ექცევა

---

სიტყვა ვეღარ შეასრულა, ძილმა წასძლია და განსვენებას მიეცა.

სალამოზედ, ნაჩალნიკს და ღენერალს, ამ საგანზედ დიდი საუბარი და ლაპარაკი ჰქონდათ, მაგრამ სვიმონმა მაინც არ დაანება მოხევები და ისეც შეწუხებულნი და დასუსტებულნი, გადაარჩინა გადახდევინებას.

ღამდა და ყველანი განსვენებას მიეცნენ. ჯარის ბანაკზედ აქა იქ აანთეს ცეცხლი და მიიღეს სხვა-და-სხვა სახელები. დარაჯად მდგარს სალდათებს დაღალვისაგან თავი ძლივსღა ეჭირათ და ძალზედა სთვლემდნენ.

გარშემო სრული სიმშვიდე და მყუდროება ჩამოვარდნილიყო, რომელსაც ცხენების იშვიათი ფრუტუნი და საჭმლის ხრაშუნი თუ დაარღვევდა. არ იძინათ მხოლოდ იმ მთიულებს, რომელნიც თვალ-ყურის დასაჭერად გამოეგზავნათ შეთქმულს მთიულებს. ისინი რუსის ჯარს გარს შემორტყმოდნენ და თვალს არ აცილებდნენ იმათ მოძრაობას.

ამ თვალ-ყურის დამჭერთ შორის, ელგუჯა და მათიაც ერთი მხრიდგან ტყეში იდგნენ და ხმა-გაკმენდილნი, თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ.

ცოტა ხანმა გაიარა ასეთს სიჩუმეში, როდესაც ფოთლებმა გაიშხრიალეს. ელგუჯა და მათია შეკრთნენ და ერთმანერთს ხელი წაჰკრეს. იმათ კარგად იცოდნენ, რომ აქ სიფრთხილით უნდა მოქცეულიყვნენ, რათა ღამის მშვიდობიანობა არ დაერღვიათ და ჯარისათვის არ შეეტყობინებიათ, რომ იმათა ჰყარაულობენ.

— თოფი არ „ახალო“*), წასჩურჩულა ელგუჯამ.

— არა. წყნარადვე უპასუხა მათიამ და ორთავ ხანჯლებზედ ხელი გაივლეს და მიეფარნენ დიდროვანს ხეებს.

მოისმა კიდევ შხრიალი და აშკარად ადამიანის გაფრთხილებული ფეხის ხმა გაარჩიეს.

— გამოდი-და, გამოდი, ვიღაცა ხარ და ნახავ რაი მოგივა. თავისათვის წაიტუტუნა ელგუჯამ.

იმან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც იქვე ხეებში გამოვიდა ერთი პატარა ბიჭი, მთლად შეიარაღებული თავიდგან ფეხებამდინ. იმის გამოსვლაზედ ორივ ამხანაგნი გადმოხტნენ და გზა გადაუღობეს.

— ვინა ხარ? ჩუმად ჰკითხა ელგუჯამ და ხელი ვაავლო.

— რაში გეკითხებით ვინცა ვარ, უპასუხა იმან. მოკეთე კი ვარ და ცხო რაი გინდათ?

— აქ რაი გინდა, რად მოსულხარ? მკაცრად ჰკითხა ელგუჯამ, რომელსაც აკვირვებდა ახალ-მოსულის ნაზი ხმა.

— იმად, რომ თქვენთან მოვკვდე! იყო მოკლე პასუხი.

— განა გვიცნობ ჩვენა? მეტისა-და-მეტის გაკვირვებით ჰკითხამდა ელგუჯა.

— ჰაი, ჰაი, რო გიცნობთ: შენ ელგუჯაი ხარ, მოხევე, აისაც მათიაი—მთიული და გაიშვირა ელგუჯას ამხანაგისკენ ხელი.

— შენც მოხევე თუ არა ხარ?

— ჰაი, ჰაი რო მოხევე ვარ.

— იცი რაი გითხრა ბალღო, შენ ბედს აუვდიხარ, თორემ აქ რაი მოგიყვანდა? წადი დაბრუნდი შინა, შენს ჯალაბობას მიხედე და შენ ცოდო ბრალს ნუ გვაყურებინებ.

— შინ საით წავალ?.. მამა მყვანდა ე მაგათ მომიკლეს, ძმა მყვანდა ზამთარში თოვლს დაალრჩობინეს და მე სადღა უნდა წავიდე?.. ბარემ მეც მომკლან და გათავდების... არა ელგუჯაისა, მაგათ ჩემი სისხლი მართებს და სისხლი უნდა ავიღო.

— კარგი ბალღო, კარგი! ბალღი ხარ, მაგრამ ვაჟკაცსავით ლაპარაკობ, ვაჟკაცმა სისხლი უნდა აიღოს.

— ღმერთის მადლმა, რომ ამისთანა ბალღსაც პირველად ვხედამ! გატაცებით წამოიძახა მათიამ.

— მაშ კარგი, წამოდი ჩვენთან, უპასუხა ელგუჯამ.

იმათ გაიგეს ყველასფერი, როგორც ჯარის რიცხვი, ისე ურმებისა და ცხენებისა, ალიონმაც აიწივა და იმათ გასწიეს თავიანთ ბანაკისაკენ. როდესაც გათენდა, შეხედეს ბალღს და ისინი გაშტერებულნი დარჩნენ, რადგანაც იმას თავ-პირი სულ მოთუთხნილი ჰქონდა თოფის-წამლის კვამლით, თუმცა ეს მაინც ვერ უშლიდა სახის სინაზეს.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

*) ხმა სროლასა ნიშნავს.

კაცი ანგარიშს და დუქნის მუშაობას, რა თქმა უნდა მალე მოისპობა.

თქვენ სწერთ, რომ მე ვერ გავიგე ჩემი „სუსტი ტვინით“ ანგარიში, დაკეტის დროს თქვენგან წაკითხული; რომ ხშირად მაძლევდით თხუთმეტი მანეთის ნისიას... აგცდათ, ბ. ცვედაძე, ვერ მოარტყით ნიშანს, რომელსაც დაუმიზნეთ. მე არც ნისია წამიღია და არცა ვარ წევრი.

მიკვირს, რომ თქვენ ყურებამდინ არ მოდის ლალადი ძავთიხევის ხალხისა, რომ აგრე თამამად აცხადებთ; დავაკმაყოფილეთ სუყველთაო. ძალიან შეჩვეული ყურები გქონიათ.

ახალქალაქელი.

ახალქალაქი, 24 ოკტომბერს.

# განცხადებანი

თფილისის საამნაურო სკოლაში საჭირონი არიან ორი განათლებული აღმზრდელი ქალი მსურველს შეუძლიან თხოვნის შეტანა მოხსენებულ სკოლაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზედ. (მველი ინსტიტუტის ქუჩა № 19).

# ჰქირავდება

სახლი ოთხი წმინდა ოთახით, სამზარეულოთი და სარდაფით, ოქრომჭედლების ქუჩაში, სახლი № 16, ფასი იკითხეთ იქვე. (3—1)

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ნოემბრის თვის 13-სათვის, დილის 12 საათზე, იმის თან-დასწრებით იქნება ვაჭრობა ცხენების გარდასახადის იჯარით აღებაზედ, ვადით მომავალ 1882 წლის 1 იანვრიდამ 3885 წლის 1 იანვრამდინ. და ამის გამო ვისაც ამ იჯარის აღება ჰსურს, შეუძლიანთ დაწვრილებული პირობები ქალაქის გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში ნახოს მუდამ დღე დილის 10 საათიდამ 2 საათამდინ უქმ დღეებს გარდა. (3—1)

**ორი ყმაწვილი კაცი**

მძებნ გაკვეთილებს, თავიანთ ხარჯზედაც აიყვანენ ყმაწვილებს. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (4—4)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

გადმოვიდა ცენტრალური

# სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, გარანცოვის მეგლის პირ-და პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებლად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით შემიმკაა და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით მრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—9) ლევან ოღახერაშილი.

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი დეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად.

ინგლისის მაღაზიაში.

(40—3)

**ОКОНЧИВШІЙ** курсъ въ **ВЫСШЕМЪ** учебномъ заведеніи, **ОПЫТНЫЙ** въ преподаваніи, предлагаетъ услуги въ качествѣ учителя, воспитателя и репетитора въ казенныхъ и частныхъ, мужск. и женск. учебн. заведеніяхъ. Письменно: Сололаки, Вознес. ул., домъ Попова № 30, Ник. Гавр. Дмитріеву. (3—3)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის სკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—34)

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვება სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—14)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—55)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდძალი ჩაი [illegible] მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე ისყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—33)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანის გიარები. (100—43)

**ჩაის** მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—80)

**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის | „ | —1 გირ. | 3½ |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | —1 გირ. |
| მეორის | „ | —1 გირ. |

**Дозволено цензурою. Тифлисъ,** 3 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი